№326 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ აზიის რეგიონის სახელმწიფო ვალის მართვის ფორუმისა და სემინარების შესახებ ტექნიკურ დახმარებაში მონაწილეობის თაობაზე

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ აზიის რეგიონის სახელმწიფო ვალის მართვის ფორუმისა და სემინარების შესახებ ტექნიკურ დახმარებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს მთავრობის სახელით, გამოხატოს თანხმობა ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ ტექნიკურ დახმარებაში ჩართვასთან დაკავშირებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**